სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/99

ქ. თბილისი 30 დეკემბერი 2019

სტუ-ის ქონების საერთაშორისო სტანდარტებით შეფასებისა და პროფესიონალ შემფასებელთა მომზადების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 დეკემბრის №01-05-04/412 დადგენილებისა და სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2019 წლის 30 დეკემბრის №01-06-02/11 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილებები საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებულ სტუ-ის ქონების საერთაშორისო სტანდარტებით შეფასებისა და პროფესიონალ შემფასებელთა მომზადების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის დებულებაში წარმოდგენილი სახით;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ,№6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**